



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 51

ქ. გარდაბანი

30/03/2022

51-06-4-202203302109



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 694 ერთეული გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე (ბოძი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილების შ.პ.ს. „მაგთიკომი“-სთვის იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 23 მარტის №18/18220828 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, სოფლებში: თაზაქენდი, კალინინო, ბირლიკი და ახალშენისა და ამფარათაფას დასახლებებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 694 (ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი) გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე (ბოძი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილები, იჯარის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. „მაგთიკომს“, ორი წლის ვადით.

მუხლი 2

საყრდენზე (ბოძი) ერთი წერტილის ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულება განისაზღვროს ორი ლარით.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ზოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

